საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ორბელები ლეონ და იოსებ

ორბელები ლეონ და იოსებ (1882-1958 • 1887-1961), ძმები. მამა – აბგარ ორბელი – იურისტი, წარმოშობით სომეხი, 1889 წლიდან მუდმივად ცხოვრობდა თბილისში, ბებუთოვის (ახლანდ. ლადო ასათიანის) ქუჩაზე, #56-ში. დედა – ბარბარე არგუტინსკაია-დოლგორუკოვა, თბილისში მცხოვრები, ძველი სომხური თავადური გვარის შთამომავალი იყო. ლეონისა და იოსების ბიძები: ამაზასპი – თბილისში იმ დროს ცნობილი სტომატოლოგი, ხოლო დავითი – 30 წელზე მეტ ხანს თბილისის ყოფ. მიხაილოვის საავადმყოფოს ექიმი იყო.

ლ. ორბელი

ლეონ (ლევონ) – ფიზიოლოგი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის (1935), სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის (1943), სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის (1944) აკადემიკოსი. ევოლუციური ფიზიოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ლეონის მშობლები ქორწინების შემდეგ თბილისიდან ქ. ნახიჩევანში გადავიდნენ, რადგან აბგარ ორბელი იქ მოსამართლედ დანიშნეს. ლეონი ნახიჩევანის მახლობლად, სოფ. დარაჩიჩაგში დაიბადა. 1883 წელს ლეონის მამა სამუშაოდ ქუთაისში გადაიყვანეს, ხოლო 1889 წელს – თბილისში. ლეონ ორბელი საქართველოში 16 წელს ცხოვრობდა. 1889 წლიდან სწავლობდა თბილისის ვაჟთა მე-3 გიმნაზიაში. 1904 წელს დაამთავრა პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემია. იყო სამხედრო სამსახურის

გენერალ-პოლკოვნიკი, ი. პავლოვის უახლოესი თანამშრომელი და მოწაფე, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ი. პავლოვის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტისა (1936–1950) და სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ი. პავლოვის სახ. ევოლუციური ფიზიოლოგიისა და უმაღლესი ნერვიული მოქმედების პათოლოგიის ინსტიტუტის (1939–1950) დირექტორი, 1942-1946 წლებში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. 1956 წელს ჩამოაყალიბა და სათავეში ჩაუდგა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ი. სეჩენოვის სახ. ევოლუციური ფიზიოლოგიის ინსტიტუტს.

ლ. ორბელი იყო სსრკ სახელმწიფო პრემიის (1941), ი. პავლოვის სახ. პრემიის (1937) ლაურეატი, უცხოეთის მეცნიერებათა აკადემიებისა და საზოგადოებათა საპატიო წევრი.

ლ. ორბელი ლენინგრადში გარდაიცვალა.



ი. ორბელი

იოსები – აღმოსავლეთმცოდნე, საზოგადო მოღვაწე. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1935), სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და მისი პირველი პრეზიდენტი (1943–1947), სსრკ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ირანის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, თეირანის უნივერსიტეტის პროფესორი. დაიბადა ქუთაისში. ბავშვობა და ყრმობა ქუთაისსა და თბილისში გაატარა. 1904 წელს დაამთავრა თბილისის ვაჟთა მე-3 გიმნაზია და იმავე წელს სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე კლასიკური ფილოლოგიის განხრით. პარალელურად გაიარა აღმოსავლური ენების სრული კურსი (ქართული, სომხური, ირანული). მისი მასწავლებლები იყვნენ ნ. მარი, ვ. ბარტოლდი, ი. ჯავახიშვილი, ნ. ადონცი და სხვ. ფართო ერუდიციამ, შესანიშნავმა სამეცნიერო მომზადებამ ი. ორბელს საშუალება მისცა, სტუდენტობის წლებშივე გამხდარიყო თანამშრომელი ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიისა, რომელშიც გამოქვეყნდა მისი სამი სტატია: „სომხური ხელოვნება“ (1911), „ქართული ხელოვნება“ (1913) და „ისლამური ხელოვნება“ (1916). ი.ორბელი დაინტერესებული იყო რუსთველოლოგიით და რუსთაველის შემოქმედებას აღმოსავლეთისა და კავკასიის ხალხთა კულტურის ისტორიასთან მჭიდრო კავშირში განიხილავდა. 1920 წლიდან ი. ორბელი მოღვაწეობდა სახელმწიფო ერმიტაჟში, სადაც შექმნა აღმოსავლეთის განყოფილება. 1934-1951 წლებში იყო ერმიტაჟის დირექტორი. 1955–1960 წლებში ი. ორბელი იყო ლენინგრადის უნივერსიტეტის აღმოსავლური ფაკულტეტის დეკანი, ხოლო 1956-1961 წლებში – სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის ფილიალის დირექტორი. ი. ორბელი არჩეული იყო ლონდონის არქეოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრად.

ი.ორბელი ლენინგრადში გარდაიცვალა. დაკრძალულია ბოგოსლოვსკის სასაფლაოზე.